

„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატის მიერ განსახორციელებელი წლიური საბიუჯეტო კანონით გამოყოფილი ასიგნებებისა და სხვადასხვა მიზნობრივი გრანტების დაფინანსების ფარგლებში ელექტრონული ტენდერების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 26.10.2018წ. N362 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი N1

ქ. თბილისი

22.08, 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ირინე აბულაძე

სატენდერო კომისიის წევრები:

მარიამ ტაბატაძე

მიხეილ კახნიაშვილი

ნანა ხმაღაძე

გიორგი შეშაბერიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

ნანა ფერაძე

ირაკლი ნონიკაშვილი

დღის წესრიგი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის "განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (კოდი 32 01 01) დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის 2019 წლის ბოლომდე კარტრიჯების შესყიდვის მიზნით (CPV30100000), სატენდერო განცხადების, სატენდერო დოკუმენტაციის და ხელშეკრულების პროექტის განხილვა და დამტკიცება.

სატენდერო კომისია გაეცნო საბუღალტრო აღრიცხვის და მატერიალურ-ტექნიკური დეპარტამენტის 2019 წლის 26 ივლისის N991751 სამსახურებრივი ბარათით ინიცირებულ მოთხოვნას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის 2019 წლის ბოლომდე კარტრიჯების შესყიდვაზე.

სატენდერო კომისია ასევე გაეცნო ინფორმაციას განხორციელებული ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ, რაც ასახულია ანალიზის სამმართველოს 2019 წლის 8 აგვისტოს N1030704 სამსახურებრივ ბარათში.

სატენდერო კომისიამ განიხილა და იმსჯელა:

სატენდერო კომისიამ განიხილა ბაზრის კვლევის შედეგები და მიზანშეწონილად მიიჩნია სამინისტროსთვის 2019 წლის ბოლომდე კარტრიჯების შესყიდვის მიზნით გამოცხადდეს ორი აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი, კერძოდ:

1. Pantum M6550NW პრინტერთან თავსებადი კარტრიჯები 20 ცალი.

2. ახალი შავ-თეთრი ლაზერული კარტრიჯები (ორიგინალი ან არაორიგინალი):

HP 1536 dnf mfp პრინტერთან თავსებადი კარტრიჯები 50 ცალი; HP LJ 500 MPF M525dn, HP P3015 პრინტერთან თავსებადი კარტრიჯები 10 ცალი; Lexmark Mx410de პრინტერთან თავსებადი კარტრიჯები 30 ცალი; LaserJet Pro 400 MFP M425 All-in-One Laser Printer პრინტერთან თავსებადი კარტრიჯები 10 ცალი; HP LJ Enterprise MFP M630 პრინტერთან თავსებადი კარტრიჯები 3 ცალი; Canon mf 3010 პრინტერთან თავსებადი კარტრიჯები 20 ცალი; Xerox WorkCentre 3210 პრინტერთან თავსებადი კარტრიჯები 20 ცალი.

ახალი ფერადი კარტრიჯები (ორიგინალი ან არაორიგინალი):

HP Color LaserJet Pro 400 M451dn Printer პრინტერთან თავსებადი კარტრიჯები:
Black 30 ცალი; Cyan 10 ცალი; Yellow 10 ცალი; Magenta 10 ცალი.

HP LaserJet Pro 200 Color M251n პრინტერთან თავსებადი კარტრიჯები:
Black 7 ცალი; Cyan 7 ცალი; Yellow 7 ცალი; Magenta 7 ცალი.

Lexmark C950 Color Laser Printer პრინტერთან თავსებადი კარტრიჯები:
Black 2 ცალი; Cyan 2 ცალი; Yellow 2 ცალი; Magenta 2 ცალი.

სატენდერო კომისიის აპარატმა კომისიას წარუდგინა ზემოაღნიშნული სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი: ტექნიკური დავალება, ხელშეკრულების პროექტი.

სატენდერო კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. ბაზრის კვლევის შედეგად, კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ წინადადებებში უმცირესი ღირებულების გათვალისწინებით - Pantum M6550NW პრინტერთან თავსებადი კარტრიჯების შესყიდვის სავარუდო ღირებულებად განისაზღვროს 3400 (სამი ათას ოთხასი) ლარი.
2. ბაზრის კვლევის შედეგად, კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ წინადადებებში უმცირესი ღირებულების გათვალისწინებით (Pantum M6550NW-ს პრინტერთან

თავსებადი კარტრიჯების გამოკლებით), შესყიდვის სავარუდო ღირებულებად განისაზღვროს 8610 (რვა ათას ექვსას ათი) ლარი.

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

4. დამტკიცდეს "განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (კოდი 32 01 01) დაფინანსების ფარგლებში, 2019 წლის ბოლომდე კარტრიჯების შესყიდვის მიზნით დოკუმენტაცია: სატენდერო განცხადება, სატენდერო დოკუმენტაცია და ხელშეკრულების პროექტი.

5. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს სატენდერო განცხადების და თანმდევი დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ირინე აბულაძე

სატენდერო კომისიის წევრები:

მარიამ ტაბატაძე

მიხეილ კახნიაშვილი

ნანა ხმალაძე

გიორგი შეშაბერიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

ნანა ფერაძე

ირაკლი ნონიკაშვილი